უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №63

2018 წ. "07" 09

ქ.თბილისი

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ფორმაში ასახული ინფორმაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას (ს/კ: 203850813) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.
2. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №12 სხდომის ოქმის მე-3 ნაწილი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შესახებ ცნობილი იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილებად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი,

მ. ალექსიძის №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი

დანართი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი ავტორიზებული/ კრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1.	საშემსრულებლო ხელოვნება (სპეციალობები: კლავიშიანი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, საორკესტრო სიმებიანი , ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა)	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი 0805	240	აკრედიტებული	N298 2011. 18. 11
2.	ჯაზის ხელოვნება	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი 0805	240	აკრედიტებული	N709 2012. 20. 11
3.	საშემსრულებლო ხელოვნება (სპეციალობები: კლავიშიანი საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა, საორკესტრო სიმებიანი , ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა)	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი 0805	120	აკრედიტებული	N257 2012.26. 06
4.	საშემსრულებლო ხელოვნება (სპეციალობები: სოლო ფორტეპიანო, კამერული ანსამბლი, საკონცერტმაისტერო დაოსტატება, საორკესტრო საკრავები, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა).	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების დოქტორი 0805	180	აკრედიტებული	N302 2011. 18. 11
5.	მუსიკის თეორია (სპეციალობები: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, მუსიკალური ფოლკლორი, საეკლესიო მუსიკა)	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი 0805	240	აკრედიტებული	N299 2011.18.11
6.	კომპოზიცია	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი 0805	240	აკრედიტებული	N300 2011.18.11

7.	მუსიკა და დღევანდელობა	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების 0805 ბაკალავრი	240	აკრედიტებული	N708 2012. 20. 11
8.	მუსიკისმცოდნეობა (სპეციალობები: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია)	ქართული ენა	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი მუსიკოლოგიაში - 100704. ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი ეთნომუსიკოლოგიაში - 100705. ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი საეკლესიო მუსიკოლოგიაში - 100706.	120	აკრედიტებული	N256 2012.26. 06
9.	კომპოზიცია	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი 0805	120	აკრედიტებული	N258 2012.26. 06
10.	სამუსიკისმცოდნეო კვლევები: (სპეციალობები: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგი, საეკლესიო მუსიკოლოგია, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია).	ქართული ენა	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი 1007	180	აკრედიტებული	N301 2011. 18. 11
11.	კომპოზიცია	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების დოქტორი 0805	180	აკრედიტებული	N303 2011. 18. 11
12.	მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამა	ქართული ენა		60	აკრედიტებული	N309 2011.18. 11
13.	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა		60	აკრედიტებული	N 707 2012.20. 11
14	მუსიკის ტექნოლოგია	ქართული ენა	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი 0805	120	----------	